საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი მაისი 28
1921 წ
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—20

88
ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი მიხეილ სიმონის ძე პაიჭაძე შვილებით, სიმონ, გრიგოლ, თამარა, ვასილი და გიორგით: ძმა სამსონი ქ. თოფურიძე რძლებით და დით; მაზლები ალექსი, ნიკო და ბეგლარი პაიჭაძეები; აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის 29 კვირას არის დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათის ძვირფასი

ელენესი

წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1056

კვირას მაისის 29 დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ხუროთმოძღვარ

სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ქვრივ-შვილები. 1057

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, მარიამ ანდრიას ასული, იოსებ კონსტანტინეს ძე გარეყანიძენი და ოლია კონსტანტინეს ასული მელვინეთხუცესისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, სპარსეთში უდროოდ გარდაცვალებას: პირველი ორის შვილისა და მეორეების ძმის საყვარელი

პორუჩიკ არჩილისა

პანაშვიდი იქნება კვირას მაისის 29 ს 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში.

ქვრივი [illegible] დიონისის ასული, [illegible] ნიკოლოზის ასული და ლიუდმილა ნიკოლოზის ასული,—ვორონინები—და ოლღა ნიკოლოზის ასული ბარხატოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარ ქმრის, მეორე საყვარელი შვილისა და უკანასკნელ ორნის ძვირფას ძმის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტ

ფილიპე (ფილია) ნიკოლოზის-ძე ვორონინის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს მაისის 28 ს ნაშუადღევის ხუთ (5) საათზე სახლიდან № 7. ატენსკაიას ქუჩა. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე. 1051

გულდამწვარი დედა [illegible], ცოლი სარა ელიზბარის ასული, ძმა აბაკო დავითისძე, რძლები მაგდანი და სოფიო, ძმის წული აკაკი რაჟდენის ძე ყიფიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, მაისის 29. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდია

გერმანე დავითის ძე ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. 1055

განცხადება

ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭო წინადადებას აძლევს ყველა მაღაზიების პატრონებს, რომელნიც იყვნენ მომარაგების საბჭოს მიერ აღრიცხვაზე ნდებულნი, ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ მომარაგების საბჭოში ცნობები იმ მასალაზე, რომელიც მათ მისცეს მომარაგების საბჭოს ორდერების თანახმად როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს. დაწესებულ ვადის გასვლის შემდეგ ეს ცნობები აღარ მიიღება. ცნობები უნდა მიაწოდონ მომარაგების საბჭოს სტატისტიკურ ბიუროს (შტაბის ქ. № 2).

მომარაგების საბჭოს თავმჯდომარე კ. ფანცევი.
საქმეთა მმართველი დ. ბრეგვაძე 33.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთ-საცავი

ამით უკანასკნელად მიჰმართავს თხოვნით

ყველას ვისაც კი წაღებული აქვს წიგნთ-საცავიდან წიგნები—როგორც ტფილისში მყოფთ ისე ტფილისის გარეშე წასულთ—

პროფესორებს, ასისტენტებს, სტუდენტებს და სხვებს

დაუბრუნონ წიგნთ-საცავს წაღებული წიგნები მიმდინარე წლის ივნისის 5-მდე. წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. 32

მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“-ს გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას მაისის 29-ს დილის 10 საათზე დანიშნულია

წლიური კრება

კოოპერატივის წევრთა. განსახილველია 1920 წლის ანგარიში. დღის წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. 1921 წლის ბიუჯეტ-აღრიცხვა, 4. მიმდინარე საკითხები. კრება შესდგება სოც.-ფედერალისტების ბიუროს ბინაზე, ლორის-მელიქოვის ქ. და ჩაითვლება კანონიერად, რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს, რადგანაც მეორედ ინიშნება. 28

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
ოლღა ხოფერია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

კბილის ექიმმა
აპოლონ ურუშაძემ
განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (914 და 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ვინ არის შოვინისტი?

საერთოდ კამათი უნაყოფოა იმ შემთხვევაში, როცა ისეთ ადამიანებთან გაქვთ საქმე, რომელთაც სიმართლისა და ჭეშმარიტების გამორკვევა როდი აინტერესებთ, არამედ ცოფიანი სიტყვებით გულის მოჯერება.

საქ. კომ. პარტიის ცენტრალური ქართული ორგანო „კომუნისტი“ თვითვე აღიარებდა ამ ორიოდე კვირის წინად ერთ ერთ მეთაურში, „ჩვენ გულწრფელი კრიტიკა გვინდაო“.

„პრავდა გრუზიას“ და—„ბატუმსკია იზვესტია“ ეს გულწრფელი კრიტიკა ვერ მოუწონებიათ.

პირველმა ჩემმა მოკამათემ ს. პ. ერთი არგუმენტიც ვერ მოიყვანა ჩემ დებულებათა წინააღმდეგ.

მან მეორე წერილში კიდევ ერთხელ მომაძახა: „შოვინისტი“ და ბოლოს დასძინა: „რაკი გამსახურდიას ინტერესებს ჩემი ეროვნება, მე რუსი ვარო.“

მართალია, მე მაინტერესებდა რომ ჩემ მოკამათეს თვითვე ეთქვა რომ ის რუსია, თორემ მე მას წერის მანერაზეც შევატყვე რომ ის რუსი იყო. ამ შემთხვევაში სამწუხაროა, რომ საქართველოში რუსის კომუნისტიც ისე ნაკლებ უწევს ანგარიშს ქართველი ერის სუვერენობას, როგორც ძველი რუსეთის რუსები, ან თუ გნებავთ „სოციალისტი“ კერენსკი, რომელიც პეტროგრადიდან მუშტებით გვემუქრებოდა: „ქართველებო არ გაბედოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაო“.

ამაოდ სწადია ბ. ს. პ.-ს მე შოვინიზმი თავს მომახვიოს, მე ყოველი რუსის წინააღმდეგ არ გახლავართ.

ლეონ ტოლსტოიც რუსი იყო, რომელსაც მე ისევე პატივსცემ, როგორც გოეთეს და დანტეს მიქელანჯელოს და პლატონს. ეს სხვათა შორის ერთად ერთი იყო მოაზროვნე რუსთა შორის, რომელმაც თავის „ხაჯი მურატში“ დაუვიწყარი სურათი მოგვცა, იმ უხეში რუსული სოლდატესკასი, რომელიც ყოველივე „არა რუსულს“ დაპყრობილ ქვეყნებში, საოცარის ვანდალური ინსტინქტით სდევნიდა და ანადგურებდა. ეს იმპერიალისტური რუსული სოლდატესკა ასი წელიწადი სდევნიდა ქართულ ენას საქართველოში, ქართულ ზნე ჩვეულებას და ქართულ კულტურას. ამ რეჟიმის ხელით რუსის ბერები და ეპისკოპოზები სისტემატიურად ანადგურებდნენ ქართულ მონუმენტალურ კულტურას.

ამ ხნის განმავლობაში რუსებს საქართველოში გარდა პოლიგონებისა ყაზარმებისა გამარუსებელ შკოლებისა და შხამიანი რუსული გაზეთების მეტი არა დაუტოვებიათ რა და ნუ თუ ვინმე მოითხოვს დღეს ქართველი პატრიოტისაგან რომ ჩვენ ასეთი რუსები გვიყვარდეს?

როცა ძველი რუსეთი დაინგრა განა სოციალისტი კერენსკი არ იყო ის ვინც თვით ქართული უნივერსიტეტის ტფილისში დაარსების ნებას არ გვაძლევდა? ასე ეშინოდათ საქართველო სინათლის კერის, რუსეთის სიბნელის ხელისუფლებს.

რუსეთის კომუნისტების პირიდან არაერთხელ გაგვიგია, რომ მათ აღმოსავლეთის და კერძოდ ინდოეთის განთავისუფლება უნდათ ინგლისის ბატონობიდან.

მუდამ ვამბობდი, რომ ინგლისი მსოფლიოს ჟანდარმერიის როლშია აგერ ორიოდე საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ასეთმა ინგლისმა ინდოეთში 6 უნივერსიტეტი დაარსა. რა გააკეთეს ძველმა რუსებმა კულტურულად საქართველოსათვის, რის შედარებაც შეგვეძლოს ჩვენ იმ მუშაობასთან რომელსაც ინგლისელები უარყოფით მხარეებთან ერთად აწარმოებდნენ თავიანთ ხელის უფლების ქვეშ მყოფ ქვეყნებში?

ხშირად გაგვიკვირდება, რომ ნიკოლოზ მეორის და კერენსკის რეჟიმის მსახურებს სხვა არაფერი აინტერესებდათ თუ არ რუსიფიკაცია და ერების პოლიტიკურად დამონება.

ამ რეჟიმის რუსებს საქართველო უყვარდათ უქართველებოდ, ქართული ტყემალი და კახური ღვინო და ქართული კულტურის ასაღორძინებლად და [illegible] კი ისე ცოფი [illegible], რომ ყოველ ჩვენგანისთვის არა ერთხელ უკითხავთ რუსეთში: ქართველები ქრისტიანები არიან, ქართველებს ანბანი გაქვთ თუ არაო?

როცა კომუნისტური რუსეთის პოლიტიკური აგენტები საქართველოში ბუნებრივად სთვლიან ქართული ენის გაძევებას ქართველთა რკინის გზის უწყებიდან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან, ისინი ამ გაუგებრობის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას „შოვინიზმად“ ნათლავენ, ეს სრულიად გაუგებარია და სამწუხარო.

„პრავდა გრუზიის“ თანამშრომლის ს. პ. ზე უფრო უწყინარი აზრებით გამოილაშქრა ჩემ წინააღმდეგ ბათუმის გაზეთ „ბატუმსკია იზვესტიაში“ ვინმე ს. რუდაკოვმა.

გაზეთის ბოლოში ვკითხულობთ: ს. რუდაკოვი. პასუხისმგებელი რედაქტორი.

„დიკი ვოპლ შოვინიზმა“.—შოვინიზმის ველური ღაღადისი ჰქვია ამ წერილს.

რაც შეეხება პირველ ჩემ წინააღმდეგ მიმართულ ეპითეტს, უნდა მოვახსენო პასუხისმგებელ რედაქტორს, რომ ველურობის ნიშანდობლივი თვისება აღვირახსნილობა და თავშეუკავებლობაა. ვერც ერთ ჩემს ნაწერში ნეიტრალური მკითხველი ერთ უტაქტო და თავშეუკავებელ სიტყვას ვერ იპოვნის.

როცა ადამიანს ნათელი აზრები გამოელევა, იგი გინებას მოჰყვება და გინება სხვა რაიმე თუ არა და უსუსურობის, ინტელექტუალური უძლურობის ნიშანი. მე ამოვწერ იმ ეპითეტებს, რომლითაც ჩემი წერილების არგუმენტების ლოგიკას უპირებს დარღვევას ბ. რუდაკოვი.

„ასეთი პოლიტიკური ეგზემპლარი როგორიც კ. გამსახურდიაა, შოვინისტი (კ. გ.: მეომარი შოვინისტი) „ოჩუმელი შოვინისტი“, კონტრ რევოლუციონერი, თეთრი გვარდიელი, შავი ჯადოსანი, „კუდესნიკი“, მისტიური რეაქციონერი და სხვა.

ერთ დროს დოსტოევსკიმ აღიარა რომ არც ერთ ენაზე ისე მხატვრულად გინება არ შეიძლება, როგორც რუსულად, მაგრამ როცა საქართველოში კომუნიზმის იდეების საქადაგებლად ჩამოსული რუსები ჩვენს აზრებს და ლოგიკას „მხატვრულ გინებას“ უპირისპირებენ, ეს ჩემთვის სრულად გაუგებარია. ყველაფერი ეს ჩემში ბრაზს კი არ იწვევს, არამედ სიბრალულს. უნდა შევნიშნო, რომ ბ. რუდაკოვი სრულიად უაზროდ ხმარობს უცხო სიტყვებს: შოვინისტი, მეტაფიზიკოსი, მისტიკოსი და სხვა.

ავუხსნათ ბ. რუდაკოვს თუ რას მოასწავებს სიტყვა შოვინისტი, ან ვის ეწოდება შოვინისტი? Chauvin ბ. რუდაკოვ, საფრანგეთის პირველი იმპერიის ერთ ტრაბახა ჯარისკაცს ერქვა. აქედან შოვინისტს ეძახიან საფრანგეთში, იმ ფრანგის პატრიოტებსა და ნაციონალისტებს, რომელთაც მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი უკვე რესპუბლიკანური სახელმწიფო იყო, ყოველ [illegible] გულში უნდა აღედგინათ საფრანგეთის იმპერიის ბრწყინვალება, რომელსაც უნდა დაეჩრდილა და დაემონებინა მეზობელი პატარა ერები. ეს ანალოგია ზოგიერთ იმ რუსებსაც ეხება, რომელნიც ახალი კოკარდებს ატარებენ შუბლზე და ჩუმად გულში, ძველი რუსეთის საზღვრებს. ხომ ასეა ბ. რუდაკოვ?

რუსეთის სინამდვილეში შოვინისტები იყვნენ თავიანთ თაყვანისმცემლებით: გრაფი ბობრინსკი, სტოლიპინი, მარკოვი, პურიშკევიჩი და მილიუკოვიც, რომელთაც თავის ქვეყნისა და ხალხისათვისაც ვერ ეპატრიოტებიათ და მოყვარეთ და მიუხედავად ამისა, ყველა იმ პატარა და დიდ ერების დამონება ეწადათ, რომელნიც მოსახლეობენ ჩრდილოეთით [illegible] და ყინულოვან ოკიანემდის, ადრიატიკის ზღვიდან იაპონიამდის და სამხრეთით ჰიმალაიამდის. ამ ვაჟბატონების სატრფიალო საგანს ხომ ის იყო ჯვარის აღმართვა აია-სოფიაზე, მაგრამ მათ თავიანთ თავს დაუსვეს მხოლოდ ჯვარი. მათვე ეგონათ, რომ ქრისტეს მორწმუნეების სახელით ოსმალეთი უნდა „განეთავისუფლებინათ“ ოსმალებისაგან.

შოვინიზმი, როგორც იმპერიალისტური იდეოლოგიის პაროლი, მუდამ დიდ ერებს ახასიათებდათ. პატარა ერის წიაღში შოვინიზმი შეუძლებელი ამბავიც გახლავთ. აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ, დღეს რომ საქართველოში რომელიმე ქართველმა დაღესტნის, დონის, ყუბანის, ან მცირე აზიის დაპყრობაზე იქადაგოს, ასეთ კაცს პირველად შეშლილი ქართველი [illegible] გედევანიშვილის პსიხიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანდა;

ვერც ჩემს წერილებში აღმოაჩენს ვინმე შოვინიზმს, ვისაც მისი განძრახ მოძებნა და მოგონება არ უნდა.

მე რასაც ვწერ ეს სულ მარტივი ეროვნული პოლიტიკა გახლავთ; მე ვამბობ: საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა ხელშეუხებელი უნდა იქნეს. სულ ერთია იქნება ეს დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ ს. ს. საბჭოთა რესპუბლიკა. მე ვდგავარ ამ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა მთავრობის პირველ დეკლარაციის ნიადაგზე, რომელმაც თვითვე აღიარა საქართველოში სახელმწიფო ენა ეს ქართული ენაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიული საქართველო თავის ძველ საზღვრებში გადავიდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელში, მე როგორც ქართველი პატრიოტი, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია ამ საზღვრების დაცვა. შემდეგი საკითხია ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა სისტემისა და კომუნიზმის იდეოლოგიისადმი. პირველ შემთხვევაში მე მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს ფორმა იქნება ეს საბჭოთა სისტემა, თუ დემოკრატიული პარლამენტარიზმი, ორივე მისაღებია, რადგანაც ფორმა კი არ არის მთავარი, არამედ ის შინაარსი, რომელსაც მთავრობა და ერი ჩასდებს მათში. რაც შეეხება კომუნიზმის იდეოლოგიას, იდეები თავისთავად ერისთვის მავნებელნი არ არიან, საქმე მათ მომმარაშია.

რაც შეეხება ჩემს „ბურჟუობას“, თქვენ ხომ იზიარებთ მარქსის „მდგომარეობა ქმნის შეგნებას“ საქართველოში არც ერთ ხეს, არც ერთ სახლს ჩემი სახელი არ აწერია, მე საქართველო, ზოგიერთ გადამთიელებსავით ტყვარჩელის ნახშირის ან ტყიბულის მადნეულის სიმდიდრისათვის არ მიყვარს.

იმასაც ინდიფერენტულად უცქერი, თუ როგორ განაწილებენ ერთი ერის წრის ადამიანები თავიანთ ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეს, რადგანაც ადამიანების უბედურების მთავარი წყარო მატერიალურ-ეკონომიურ განწყობილებაში არ მეგულება. უფრო მეტი მიდრეკილება მაქვს ვისურვო, რომ მატერიალური სიმდიდრე თანასწორად განაწილონ ადამიანებმა.

ამ იდეებში არსად შოვინიზმი არ არის. ის კი შოვინიზმია თქვენის მხრით, თუკი [illegible] საქართველოში კომუნიზმის საქადაგებლად მოდიან და პირში ბურთის ჩაჩრას უპირებენ იმას, ვინც ამბობს: იქადაგეთ კომუნიზმი, მაგრამ პატივი ეცით იმ ერის სუვერენობას, ქართულ ენას და ქართულ კულტურას. ისიც შოვინიზმია თქვენის მხრით, რომ როცა თქვენ ქართულის ნაცვლად რუსული ენა და რუსული კოლორიტი გინდათ გაავრცელოთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსთა ერს არ ეკუთვნის. მე ვწერ და ვმუშაობ საბჭოთა საქართველოში და როცა ვხედავ, რომ სიმართლისა და სინათლის შუქის შეგნება ქართულ სინამდვილეში საჭიროა, ამ სიმართლეს მაინც ვიტყვი თუნდაც სახრჩობელა მელოდეს ამისთვის.

თქვენ ლაპარაკობთ ჩემს ეკალობაზე? როცა ორ კაცს შორის ვაჭრობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, აქ იგულისხმება რომ—ორივე ერთნაირი იარაღით უნდა იყვნენ აღჭურვილი. ჩემი წინაპრები იარაღით ებრძოდნენ ბატონობას, განგებამ ინება, რომ ჩემი იარაღი კალამი იყოს, თუ ისეთი ბნელი დრო დადგება, რომ კალამს და გონებას გასავალი აღარ ექნება, შეიძლება სხვა იარაღის ხმარებაშიაც არ ჩამოვრჩე თქვენისთანებს.

რაც შეეხება მეტაფიზიკას და მისტიკას, ამაზე მე თქვენ არაფერს გეკამათებით, ამისთვის [illegible] უფრო მაღალი რანგის აზროვნება და გულისყური დასჭირდება, ვიდრე თქვენ გამოიჩინეთ ჩემთან კამათში.

და ბოლოს ვურჩევ რუსული გაზეთების „პასუხისმგებელ რედაქტორებს“, ყური ათხოვონ თავიანთ ბელადის ლენინის დარიგებას და გინების ნაცვლად საქმიანობაზე გადავიდნენ.

კონსტანტინე გამსახურდია.

ტფილისი მაისის 27 ს.

26 მაისი.

საქართველოს დედა ქალაქი კვლავ წითელ დროშებით აინთო.

რუსთაველის პროსპექტმა კვლავ გადატარა საპარადო მხედრობა.

ორკესტრი და ზურნა კვლავ შეეჭრნენ ჰაერს.

ხალხთა მწკრივები კვლავ მოედვნენ ტფილისის ქუჩებს.

„შევარდენი“ მოძრავი ყვავილებივით ჰქარგავენ სანახაობას.

ორატორები ხმაურობენ.

ავტომობილები ტლანქად გრგვინავენ.

26 მაისია.

მაგრამ რა იქნა ქართული სტიქია?

აკი ამ დღეს ქართულ ზეიმს ღმერთების ქორწილის ხასიათი ჰქონდა.

ხომ 26 მაისს საქართველო ჰფენდა გარე-სანახავად მთელ თავის პათოსს და რასიულ კეთილშობილებას.

ეს დღე არ იყო ვერის გადაღმა რომ იმღერდა გრძელი კახური: „მოდისო მტერი ქართველნო, ნეტა რას გვერჩის რა უნდაო“, სიმღერას სიმღერა სცვლიდა, და ქართულ სულის ზეიმზე ყველა რომ იყო დაპატიჟებული?

26 მაისი არ იყო, საქართველო წითელ დროშებით რევოლიუციას დღესასწაულობდა?

მაშინ ხომ ტფილისის ქუჩები ვიწრო იყო აზვირთებულ ხალხისათვის, რომელიც სტიქიურად სტოვებდა ქუჩის კალაპოტს და ველად გადიოდა? დღესასწაული უმთავრესად ქალაქის ქუჩებში მოეწყვდა.

დღესასწაული მკრთალად დაიწყო. ქართველობამ თავისი პათოსი იშვიათად გამოხატა. საქართველოს დამოუკიდებლობა თითქოს ქართველმა ერმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ეშინიან ამ საკითხისა.

ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. და ამას ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს რევოლიუციონურმა მთავრობამ.

რევკომის სასახლეს ამაყი წარწერა ამშვენებდა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს“-ო. ამ დიდი ლოზუნგის სახელით უნდა მოისპოს ის წინააღმდეგობანი, რომელნიც 26 მაისის გარშემო იკრიბებიან.

და იცოდნენ, რომ ეს არის მთავარი სტიმული.

საქართველოს მშრომელ მასსას ძალიან უყვარს წითელი დროშა. მაგრამ ასევე უყვარს ეროვნული დროშაც.

ქართველობას უნდა დამოუკიდებლობა, და რომ ამ დამოუკიდებლობის დროშას კომუნისტების ხელი დაიცავს მტკიცედ, საქართველო აუშვებს თავის გრძელ-ამოსულ იალქნებს, გაიქარვებს მებრძოლთა მწკრივებს, და 26 მაისსაც უფრო მტკიცედ გადაიხდის. ეროვნული პიპი და ინტერნაციონალი როგორ შეთავსდებიან, ამის ნიმუშს საქართველო მისცემს მთელ ქვეყანას.

ლოზუნგს ხორცი არ უნდა ჩამოსცილდეს. და მაშინ ნახავს ყველა, რომ ქართულ ტემპერამენტის აღტყებასთან ჩაქრება [illegible] ცეცხლთა ვარვარი, ქართულ რევოლიუციონურ ბუნების კბილი დ ჰქარავს ყოველგვარ რეაქციის [illegible] და მეჭეჭობას.

[illegible] 1922 წლის 26 მაისი ვიდღესასწაულოთ გრანდიოზულად. რომ საბჭოთა საქართველო დამოუკიდებლობის დღესასწაულს მოაწყობს ისე, როგორც ეს ქართულ მოზეიმე ბუნებას შეეფერება, და მანამდე კი საშინაო საქმიანობა კომუნისტებს ეკუთვნით.

ვნახოთ, შესრულდება მათი ფიცი თუ არა. თუ ჰო, მაშინ ვნახავთ, რა შეუძლიან ქართველ ერს, როგორი იცის სიყვარული ერისა და კაცობრიობის, როგორ შეათანხმებს ეროვნულ პიპს და ინტერნაციონალს.

Primus.

პატარა ეპიზოდები და დიდი განცდანი

I.

ეს იყო ექვსი წლის უკან ქალაქ მოსკოვში. კულტურული წრის კრება გვქონდა სტუდენტობას უნივერსიტეტში და საქართველოს საკითხებზე ვბჭობდით, როცა ერთი ამხანაგი დარბაზში „დევებული“ შემოვიდა და მოგვმართა: ამხანაგებო, სამშობლოდან დეპეშა მოვიდა და [illegible] მოისმინეთ. საწყენარო, სამარისებური სიწყნარე ჩამოვარდა; იგი დეპეშას კითხულობს: „თარგმონიანები უსათუოდ ჩამოვა“. დუმილია დარბაზში, თითქოს სულის მოთქმასაც ეშინია მას. ღმერთო ჩემო, როგორი მისტიურია ეს წინადადება! მაგრამ ამასთანავე შიშის, ინსტინქტიური შიშის მომგვრელია იგი.

ვიღაცას, ვინმეს, წინაპართა სისხლი ჩვენს წარსულთან დაუკავშირებია. ვისთვის იყო ასეთი ფატალური გამოთქმა საჭირო? ნუ თუ ეს სიტყვები საშინელი ბედისწერის მჭეველი სიტყვებია!? რად არის ასოებიც კი ამ დეპეშისა ესოდენ შუქ-ჩრდილით დახისლული, მაგრამ ნათესაური და გასაგები? ცნობისმოყვარეობას არ გამოხატავდა დარბაზის კედლები, არც შეკითხვებით იხედიდა მდორე ჰაერი, მაგრამ მოუწყენლად ამისა სულგანაბული ელოდა ყოველივე, ასე [illegible] თავმჯდომარის კითხვასაც კი.

გამოუცნობელი იყო ეს განცდანი აზრისათვის, რომელსაც დეპეშის შინაარსი არც კი ჰქონდა გარკვეული, მაგრამ უნებლიეთ სიმარტივით გასაგები იყო იგი ემოციურ სამყაროსათვის.

ამ წუთს ამეტყველდა ინტუიციის ძლევამოსილი ენა ძარღვების კალაპოტში რომ გამალებით მიმდინარეობს და [illegible]. ამ გულ წყალვარდნილის ზვირთები კი წითელ და ცეცხლიან თვალებში ნაპერწკლებად სცვივა, კვესის და ელვარებს უფრო შეუკავებლად, ვიდრე სტიქიონი.

„თარგმონიანები უსათუოდ ჩამოვა“ იყო ის [illegible], რომელმაც დაგუბებულ გრძნობას გასაქცევი [illegible] სიუხვა.

და ასე ზღვასავით ღელვარე [illegible] უკიდო გრძნობა და ასე ეკზალტაციურ ფორმაშიაც აფეთქდა ჭაბუკის სისხლში მაგნეტიური ძახილით: „თარგმონიანები უსათუოდ ჩამოვა“.

სამშობლოში წამოსვლა გადავწყვიტეთ ისე, რომ არც კი გაგვიხსნია დეპეშის აზრი: რად გვიწვევდნენ, ან რა კონკრეტული აუცილებლობა [illegible], რომ ეს ხალხი გვეძახის წინაპართა სისხლის ძახილით ასე მარტივად, მაგრამ ოთულ გამოცდათა გამომწვევ ენით ჩვენ არ ვიცოდით.

ამ დეპეშის შინაარსი იმ თავითვე გრძნობას ჩაუგდო ხელთ დეპეშის ავტორებმა და ამიტომაც უმწიკვლო, ქაოტური [illegible] გატაცება ხელმძღვანელობდა ჩვენს მისახრებებს.

ჩვენს სიტყვებში არ იყო მოტივირობა, იყო მხოლოდ გიჟური სიყვარული, სპეტაკი და უმანკო ტრფიალება სამშობლოსადმი, თავის ერისადმი. რაკი მყუდროება დაირღვა და კრებაზე წასვლის საკითხი მსჯელობათ გადიქცა, ყველას უნდოდა ელაპარაკა, მეც მგონია რომ ყველა ლაპარაკობდა, ყველა ჩვენგანი სცდილობდა წამოსვლის ახსნილი პერსპექტივები მოეხაზა და ეს არა იმიტომ, რომ ამას სჯეროდა თავისიც [illegible]; არა ყოველ ჩვენგანს უნდოდა გაცილებით უფრო სხვა, ვიდრე ამას გულისამებს ასე რაციონალურად დაყენება საკითხისა.

ყველა ჩვენგანს უნდოდა დაეფარა დეპეშის შინაარსისაგან გამოწვეული უკიდო გრძნობები ქაოტიური სიტყვაცით, რომელსაც იგი თვის ოცნებაში ქმნიდა და რომლისაც უწინარეს ყოველისა შემომქმედი არ სჯეროდა. წამოსვლა გადაწყდა...

ჩვენ წამოვედით. მატარებელი ზმორებით მიიზლაზნება, თითქოს მას სიცივე, ჩრდილოეთის სიცივე ფლობს, რომ ასე აბეზარ იგდებს საიხრეთელ თვის მგზავრებს; იგი არ ჩქარობს, თითქოს მის ირგვლივ არაფერი არ ხდება.

ჩვენ ვიმღერით, ვთამაშობთ, ვმსჯელობთ, ერთი სიტყვით მუდამ ვმოძრაობთ, მაგრამ ყოველივეს რეფლექტიური დაღი აზის. თრთოლვას, კეთილშობილი და წმინდა ჟრუანტელს თრთოლვის ძაფია ყოველ ჩვენს საქციელში.

რას გვეტყვიან ტფილისში? ეკითხებოდა ყოველი ჩვენგანი თავს და მყისვე სხარტულად უპასუხებდა: ყოველივე კარგს, სამშობლოს ხსნის გზას.

ჩვენს პსიხოლოგიურ განცდას ამ დროს არქიმედის ალფრთოვანებული ფრაზა მიუდგებოდა: „მომეცით დასაყრდენობი და მთელს დედამიწას გადავატრიალებო“.

არქიმედზე ნაკლები საბუთი ჰქონდა სტუდენტობას სალივლივო ზრახვათა განხორციელებისათვის; მაგრამ არქიმედზე შორს მიაფრენდა მას ზღვარდაუდებელი ტრფობა მამულის ხსნისა, მისი თავისუფლებისა და ამიტომაც იგი უმანკო გულუბრყვილობით გატაცებული მიეშურებოდა თავის სამშობლოში.

თაოდენი იმედის გამცრუებელი და ოცნების ფრთების შემკვეცი აღმოჩნდა ტფილისი, როცა მან არ გვითხრა ის, რასაც ველოდით მისგან.

ჩვენ კი ველოდით, რომ ის იტყოდა საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობას.

ჩვენ არ ვიცოდით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს შესაძლებლობა, მაგრამ იგი მტკიცედ კი იყო ჩვენს რწმენაში —თათრების მხრით საქართველოს ტერიტორიის დაპყრობის შესაძლებლობა იყო სარიყამიშის მიმართულებით ბრძოლის დროს და ამიტომ გვინდოდა ქართველობა სამშობლოში ყოფილიყო— იყო პასუხი ჩვენს მოლოდინზე.

გათავდა, ჩვენი ახალგაზრდული იმედი დამარცხდა, მაგრამ სასოება არ წარკვეთილა და ია უცდიდა 1917 წლის რევოლიუციას და 26 მაისის აქტს.

ენჩანი.

1921 წლის ივნისის 5-ს

ტფილისში დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის

მეექვსე კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. პროგრამა და ტაქტიკა,
2. მთავარ კომიტეტის მოქმედება და
3. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციაზე დელეგატებად გზავნიან პარტიული ორგანიზაციები 200 კაცზე ერთს. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ორასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

არჩევნებს ხელმძღვანელობს სათანადო საქალაქო, სამაზრო ან სათემო კომიტეტი და იგივე ამტკიცებს მანდატს.

კონფერენციის მომწყობი მთავ. კომიტეტის და დრ. მთავ. კომიტეტის კომისია.

ახალი ამბები

— გამოვიდა აპრილის „ნაკადული“ № 1. შემდეგი შინაარსით: ლოცვა ლექსი შიო მღვიმელისა, პატარა გოგლა— მჭედლიშვილისა, დაკარგული შვილები — [illegible], სააღდგომო სიხარული — მიქელაძისა, შურიშალკას თავგადასავალი—თარ. ნ. დიასამიძისა, ტყის ქოთანი—პ. საყვარელიძისა, ელვა ქუხილი—ჩხეიძისა და სხვა და სხვა სურათები.

— **ხალხის სახლი.** დღეს, შაბათს მაისის 28 ს დამსახურებული მსახიობის და რეჟისორის ნ. გოცირიძის ბენეფისი წარმოდგენილი იქნება 1) იოს. ჩიდევანიშვილის „მსხვერპლის“ 1 და 3 მოქ.; 2) ა. ცაგარელის „ხანუმა“ 2 და 4 მოქ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **რუსიშვილის ქიმიური ქარხანა.** სატყეო კომიტეტმა დაადგინა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს [illegible] რუსიშვილის ქიმიურ ქარხანას თელავში, რათა ეს ქარხანა ახლო მომავალში ამუშავდეს.

— **მეტივეობა მდინარე ენგურზე.** სატყეო კომიტეტმა დაადგინა გამორკვეულ იქმნას, თუ რამდენად შესაძლებელია მეტივეობა მდინარე ენგურზე.

— **გადაზიდ-გადმოზიდვის ბიურო.** გადაზიდ-გადმოზიდვის [illegible] ლება სადგურებ[illegible] [illegible] კომიტეტის [illegible] ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკა. კომიტეტის შემადგენლობაში მოწვეულ იქნებიან სამივე რესპუბლიკის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წარმომადგენლები.

— **ნავთის გადაქაჩვა ბაქო ბათუმს შუა.** მაისის 20-ს დაიწყო ნავთის გადაქაჩვა ნავთის მილების საშუალებით ბაქო ბათუმს შუა.

— **ნავთი და ზეთი.** მაისის 13—18-დე ბაქოში ჩაასხეს 706 ცისტერნში ნავთი და 137 ცისტერნში ზეთი სად. ანტალის მისამართით ბათუმში საზღვარ გარედ გასატანათ.

— **აზერბეიჯანის რკინის გზის მოსამსახურეთა ჩამოსვლა.** მაისის 21 ტფილისში ჩამოვიდა ბაქოდან მატარებელი აზერბეიჯანის რკინის გზის ყოფილ სამართველოს მოსამსახურეებით. ეს მოსამსახურეები ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამმართველოს სამსახურში გადმოყვანილ იქმნენ.

— **ს. ს. ს. რ. რევკომში. სახალხო სასამართლო.** საქართველოს რევკომის პლენუმის მაისის 20-ის სხდომაზე, მოისმინეს დეკრეტის პროექტი ყოფილ სასამართლოების წესდებების გაბათილების შესახებ და სახალხო სამართლის დებულების პროექტის შესახებ. დეკრეტის პროექტი დამტკიცებულია და შესახებ სახალხო სასამართლოს პროექტისა მიღებულია გადაწყვეტილება რესპუბლიკისა [illegible] მოსამართლეთა მთლიან საბჭოსი.

რადიო

ანტანტა დაჟინებით მოითხოვს.

ნაუენი. მაისის 21. მფრინავთა საერთაშორისო კავშირის კომისიამ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა რომ ანტანტა გადაჭრით მოითხოვს, რათა 3 ეროპლანი „პოლიარული ვარსკვლავი“ საფრანგეთს 2 ივნისამდე გადაეცეს.

ბ ა მ ბ ა.

მოსკოვი, მაისის 23. თურქესტანის [illegible] გასაწმენდი ქარხნებში გადაამუშავეს 1,8 მილიონი ფუთი დაუმუშავებელი ბამბა, რომლის 344 ფუთიც გაუწმენდელი დარჩა. 1921 წლის სეზონის ბოლოში დაუმუშავებელი ბამბა მთლად დამუშავდება.

ბრძოლა დაშლასთან.

მოსკოვი, მაისის 23. ტაგანროგიდან იტყობინებიან ორი წლის შეჩერების შემდეგ მაისის 14 განახლდა მუშაობა ტაგანროგის ლითონის მარტენოვის ქარხნისა.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

1921 წელს 18 მაისს ტყიბულის რკინის გზაზე დავკარგე მე ქრისტეფორე ეკვთიმეს ძე ჯაფარიძემ სხვა ნივთებთან ერთად, პირადობის მოწმობა და შესავლელი ბარათი მიცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რასაც გაუქმებულად ვაცხადებ. 1052

ანტონ ბესას ძე გაბუნია ამით აცხადებს, რომ მის მიერ დაკარგული მეტრიკული მოწმობა და პირადობის მოწმობა გაუქმებულად ითვლება.

სტუდენტმა გრიგოლ მათეს ძე მაკარიძემ დაკარგა პიროვნების მოწმობა მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; გთხოვთ იქნას ჩარიცხული გაუქმებულად. 1053.

სტუდენტმა კალენიკე გურგენიძემ დაკარგა პიროვნების მოწმობა მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; გთხოვთ იქნას ჩარიცხული გაუქმებულად. 1054.

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და [illegible] მათემატიკის მასწავლებელი ი. მ ა ჩ ა ი ძ ე

ა მ ზ ა დ ე ბ ს

საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:

მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე

მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 9—11 ს. 2—5 ს. 1015